

ქ. თბილისი

11 აგვისტო 2020 წელი

შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის მიერ 2019 წელს გაწეული
სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის
აუდიტორული შეფასება

ბათუმი
2020

სარჩევი

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა	3
• საწარმოს ბალანსის აუდიტი	3
• მოგება-ზარალის უწყისის აუდიტი	6
• ფულადი ნაკადების მოძრაობის აუდიტი	9
• საწარმოს კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების აუდიტი	13
• ძირითადი საშუალებების და მასთან დაკავშირებული ოპერაციების აუდიტი	14
• სარეზერვო კაპიტალის აუდიტი	16
• ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აუდიტი	19
• სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა აუდიტი	22
• არსებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების მოკვლევა, ინვენტარიზაცია, სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების მიხედვით ცალკ-ცალკე	23
• აუდიტის პროცესში აქტივების დანაკლისის ან/და ზედმეტობის გამოვლენის შემთხვევაში, მათი ბუღალტრული ასახვისათვის ყველა საჭირო დოკუმენტაციის მომზადება, შეფასება და საჭიროების შემთხვევაში საბაზრო ღირებულების შესახებ დასკვნის წარმოდგენა	25
• დარიცხული და გადახდილი საპენსიო შენატანების და WWW.PENSIONS.GE წარდგენილი დეკლარაციების აუდიტი	26
• 2019 წელს ელექტრონული ტენდერის და გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული შესყიდვების აუდიტი და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა	27

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის (შემდგომში - საზოგადოება) დამფუძნებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახით (წილი 100%). საზოგადოების წესდება დამტკიცებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2009 წლის 25 ივნისის #422 ბრძანებით. დაფუძნებისას საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 4 439 800 ლარით, ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქ. #21-ში მდებარე 31 850 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზედ არსებული შენობა-ნაგებობების ღირებულების საფუძველზე. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 4 600 023 ლარს.

საზოგადოება გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის მიერ, რეგისტრაციის ნომერია 3138, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 245626835, დღგ-ის გადამხდელია 2009 წლის 27 ივლისიდან (სერტიფიკატი #096112).

საზოგადოების შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს კუთვნილი მიწისა და შენობა-ნაგებობების იჯარით გაცემით მიღებული შემოსავლები.

საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. #21.

შ.პ.ს „სავაჭრო ცენტრი 2009“ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის უ) ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს. შესაბამისად, საზოგადოების ბუღალტრული აღრიცხვა ნაწარმოებია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება მსს ფასით განსაზღვრულ ნორმებსა და ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას.

აუდიტის პროცესში შემოწმდა საზოგადოების მიერ წარმოდგენილი 2019 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის პირველადი დოკუმენტები, სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის მონაცემები, ფინანსური ანგარიშგების შედგენის საფუძვლები. ანგარიშის შედგენისას გამოყენებულია კომპიუტერულ ბუღალტრულ პროგრამა „ინფო ბუღალტერში“ შეტანილი მონაცემები.

• საწარმოს ბალანსის აუდიტი

საზოგადოების ბალანსის აუდიტი გულისხმობს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (მსს ფასს მე-4 განყოფილება „ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება“) დადგენილი ნორმებისა და წესების დაცვის შემოწმებას საზოგადოების მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (ბალანსის) შედგენის დროს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახები მუხლების ჩამონათვალი განსაზღვრულია მსს ფასს-ის 4.2 პუნქტით „ინფორმაცია, რომელიც უნდა აისახოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში“.

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც ეყრდნობა საბუღალტრო პროგრამის მონაცემებს:

აქტივი	ანგარიშის ნომერი	31.12.2018	31.12.2019
მიმდინარე აქტივები			
ნაღდი ფული სალაროში	1110	-	-
ფული საბანკო ანგარიშებზე	1200	814,643	771,970
მოკლევადიანი ინვესტიციები	1300	-	-
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1410	455,360	360,311
საექვო მოთხოვნების კორექტირება	1415	-	-
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოების მიმართ	1420	-	-
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1430	100	-
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	1435	-	-
მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე	1460	-	-
გადახდილი დღგ	3340	-	-
მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1480	1,784	1,569
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები (საბიუჯეტო ... და სხვა)	1490	12,278	9,033
სულ მიმდინარე აქტივები		1,284,166	1,142,883
სასაქონლო მატერიალური მარაგი			
საქონელი	1610	-	-
ნედლეული და მასალები	1620	43,660	37,858
დაუმთავრებელი წარმოება	1630	-	-
მზა პროდუქცია	1640	-	-
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	1690	1,118	1,118
წინასწარ გაწეული ხარჯები	1700	296	296
სხვა მიმდინარე აქტივები	1900	-	-
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი		45,074	39,272
გრძელვადიანი აქტივები			
მიწის ნაკვეთები	2110	3,881,759	3,881,759
დაუმთავრებელი მშენებლობა	2120	-	-
შენობა-ნაგებობები	2130	1,430,561	1,641,837
მრავალწლიანი ნარგავები, მიმოსვლის გზები	2145	9,930	9,930
მანქანა-დანადგარები	2150	4,905	6,805
ოფისის აღჭურვილობა	2160	3,958	3,438
სხვა ძირითადი საშუალებები	2170	393,206	361,836
სატრანსპორტო საშუალებები	2180	4,879	3,903
გრძელვადიანი მოთხოვნები	2300	-	-
გადავადებული საგადასახადო აქტივები	2340	-	-
გრძელვადიანი ინვესტიციები	2400	-	-
არამატერიალური აქტივები	2500	3,750	3,750
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,732,948	5,913,257
სულ აქტივები		7,062,188	7,095,413
პასივი	ანგარიშის ნომერი	31.12.2018	31.12.2019
მიმდინარე ვალდებულებები			
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	3110	9,054	52,247
მიღებული ავანსები	3120	-	-
გადასახდელი ხელფასები	3130	-	-
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	3160	-	-

ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე	3170	-	-
მოკლევადიანი სესხები	3210	-	-
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	3230	-	-
გადასახდელი მოგების გადასახადი	3310	-	-
გადასახდელი სამემოსავლო გადასახადი	3320	81	162
გადასახდელი დღგ	3330	24,826	6,630
სოციალური გადასახადი	3370	-	-
ქონების გადასახადი	3380	-	-
მიწის გადასახადი	3381	-	-
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	3390	300	300
გადასახდელი პროცენტები	3410	-	-
გადასახდელი დივიდენდები	3420	-	137,548
სხვა დარიცხული ვალდებულებები	3490	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		34,262	196,888
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4100		
გადავადებული მოგების გადასახადი	4210		
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	4220		
ანარიცხები	4300		
გადავადებული შემოსავალი	4410		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	5100	4,600,023	4,600,023
სარეზერვო კაპიტალი (რეზერვები)	5410	-	-
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	5420	791,327	791,327
სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება	5490	-	-
გაუნაწილებელი მოგება	5310	1,636,575	
მიმდინარე წლის მოგება-ზარალი	5330	-	1,507,175
დაუფარავი ზარალი	5320	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		7,027,926	6,898,525
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		7,062,188	7,095,413

წარმოდგენილი ბალანსის მიხედვით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სულ აქტივები 7 095 413 ლარს შეადგენს, აქედან მიმდინარე აქტივები - 1 142 883 ლარია (მ.შ: ფულადი სახსრები - 771 970 ლარი, მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან - 360 311 ლარი, მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები - 1 569 ლარი, წინასწარ გადახდილი გადასახადი - 9 033 ლარი), სასაქონლო - მატერიალური მარაგები - 39 272 ლარი, გრძელვადიანი აქტივები შეადგენს 5 913 257 ლარს (მ.შ. მიწის ნაკვეთები 3 881 759 ლარი, შენობები და ნაგებობები - 1 641 837 ლარი, სხვა გრძელვადიანი აქტივები - 385 912 ლარი, არამატერიალური აქტივი 3 750 ლარი).

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სულ ვალდებულებები და კაპიტალი 7 095 413 ლარს შეადგენს, მათ შორის მიმდინარე ვალდებულებები 196 888 ლარს შეადგენს (აქედან მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები - 52 247 ლარი, საგადასახადო ვალდებულებები - 7 092 ლარი, გადასახდელი დივიდენდები - 137 548 ლარი),

ხოლო საკუთარი კაპიტალი - 6 898 525 ლარს (აქედან საწესდებო კაპიტალი 4 600 023 ლარია, ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი - 791 327 ლარი, მიმდინარე წლის მოგება ზარალი - 1 507 175 ლარი).

ჩატარებული აუდიტით დადგინდა, რომ საზოგადოების მიერ წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (ბალანსის) ზემოაღნიშნული მონაცემები შესაბამისობაშია საზოგადოების სააღრიცხვო მონაცემებთან და შეიცავს ყველა იმ მუხლს, რაც დადგენილია მსს ფასს-ის 4.2 პუნქტით. შემოწმების დროს ჩვენს მიერ არ ყოფილა გამოვლენილი არსებითი ფაქტები, რომლებიც დაადასტურებდნენ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შეუსაბამობას მსს ფასს-ის და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

• მოგება-ზარალის უწყისის აუდიტი

ფინანსური შედეგების აუდიტორული შემოწმების მიზანს წარმოადგენს საზოგადოების ფინანსურ აღრიცხვასა და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსური შედეგების საიმედოდ ასახვის დადგენა. საზოგადოების ფინანსური შედეგების აუდიტი გულისხმობს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (მსს ფასს მე-5 განყოფილება „სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება“, მსს ფასს მე-6 განყოფილება „საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება“) დადგენილი ნორმებისა და წესების დაცვის შემოწმებას საზოგადოების მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის მოგება-ზარალის უწყისის (ფინანსური შედეგი) შედგენის დროს. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახები მუხლების ჩამონათვალი განსაზღვრულია მსს ფასს-ის 5.5 პუნქტით და 6.5 პუნქტით „ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში“.

ფინანსური შედეგების ფორმირების სისწორის შემოწმების პროცესში ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა რიგი საკითხები:

- ✓ საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლების აღრიცხვისა და მოგება-ზარალში ასახვის სისწორის დადგენა;
- ✓ ფინანსური შედეგების არითმეტიკული კონტროლის განხორციელება

მოგება-ზარალის ანგარიშგების შესახებ ანგარიში - ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, რომელიც ახასიათებს ორგანიზაციის საოპერაციო საქმიანობის ფინანსურ შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ანგარიშგება წლიურია. მასში აისახება საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგები, რომელიც გაიანგარიშება შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობით.

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების მოგება-ზარალის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც ეყრდნობა პირველადი აღრიცხვისა და საბუღალტრო პროგრამის მონაცემებს:

	2019 წლის მონაცემებით 01.01.2019 წლის მდგომარეობით	
1	საოპერაციო შემოსავლები _ მათ შორის:	*
	შემოსავლები რეალიზაციიდან	
	შემოსავლები რეალიზებული პროდუქციიდან	

	შემოსავლები შიდა სტანდარტით	
	სახელმწიფო პროგრამული დაფინანსებით	
	კერძო სადაზღვევო კომპანიების დაფინანსებით	
	შემოსავლები იჯარიდან	2,827,434
	სხვა შემოსავლები	
	სულ საოპერაციო შემოსავლები	2,827,434
2	საოპერაციო ხარჯები – მათ შორის:	*
ა)	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება: მათ შორის:	*
	ძირითადი მასალების დანახარჯები	7,255
	მედიკამენტების და რეაქტივების ხარჯი	972
	კვების პროდუქტების ხარჯი	
	ტრანსპორტის საწვავის ხარჯი	6,284
	ავტოტრანსპორტის სათადარიგო ნაწილების ხარჯი	
	სხვა მასალების დანახარჯები	
	პირდაპირი ხელფასი (თვითღირებულებაზე)	
	საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებების ცვეთა	131,273
	ძირითადი საშუალებების რემონტის დანახარჯები	49,877
	შენობა-ნაგებობების	49,877
	ავტოსატრანსპორტო საშუალებების	
	სხვა ძირითადი საშუალებების	
	სხვა გადასახადები	
	სხვა საოპერაციო ხარჯები	
	სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (ა):	
	მოგება/ზარალი პროდუქციის რეალიზაციიდან	
ბ)	სართო და ადმინისტრაციული ხარჯები, მათ შორის:	*
	დარიცხული ხელფასი (ადმინისტრაციის)	545,207
	ოფისის იჯარის ხარჯი	
	ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარის ხარჯები	3,000
	ოფისის მიმდინარე რემონტი და კომუნალური ხარჯები	399,539
	ელექტრო ენერგიის ხარჯი	298,044
	წყალკანალის ხარჯი	59,054
	ბუნებრივი გაზის ხარჯი	
	სანიტარული დასუფთავების ხარჯი	3,051
	დასუფთავების მოსაკრებელი (მუნიციპალური)	39,390
	სადეზინფექციო მომსახურება	
	საკანცელარიო ხარჯი	7,438
	სამეურნეო ხარჯი (მათ შორის, შეშა, სხვა საწვავი, სხვა დამხმარე მასალები ...)	
	საკომუნიკაციო ხარჯი (ტელეფონის, ინტერნეტის, საკაბელო ტელევიზიის, საფოსტო მომსახურება და სხვა)	1,202
	სტაციონალური (ზაზის) ტელეფონის ნომრებზე სააბონენტო გადასახადი	1,165
	ინტერნეტის ხარჯი	
	კორპორაციული ნომრების ხარჯი	
	მობილურ ტელეფონზე სალაპარაკო ბარათების ხარჯი	
	საფოსტო მომსახურება	37
	საკაბელო ტელევიზიის მომსახურება	
	კომპიუტერი და სხვა ელ. ტექნიკის მიმდინარე რემონტი	4,038
	პრინტერის/ქსეროქსის კარტრიჯების ხარჯი	4,038
	კომპიუტერული ტექნიკის მომსახურების/რემონტის ხარჯი	

	სხვა ტექნიკის მომსახურების/რემონტის ხარჯი	
	საბიუჯეტო გადასახადების ხარჯი	32,746
	ქონების გადასახადი	19,413
	მიწის გადასახადი	13,333
	საურავები	
	ჯარიმები	
	ბანკის მომსახურება	
	სამივლინებო ხარჯი	
	წარმომადგენლობითი ხარჯი	
	დაცვის მომსახურება	186,813
	აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურება	6,250
	საჯარო რეესტრის მომსახურება	11
	ქონების დაზღვევის ხარჯი	8,663
	ჟურნალ-გაზეთების ხარჯი	231
	სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი (სასამართლო, სალარო აპარატის შემოწმება, აუქციონის და ტენდერის, აუდიტის და სხვა)	34,502
	სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი (ზ):	1,418,045
	საოპერაციო მოგება (ზარალი)	
	სულ საოპერაციო ხარჯები: (ა+ზ)	
3	არასაოპერაციო შემოსავლები – მათ შორის:	*
	საპროცენტო შემოსავლები	97,149
	ვალუტის კურსის სხვაობით მიღებული შემოსავლები	277
	ფასეულობათა უსასყიდლოდ გადმოცემით მიღებული შემოსავლები	
	ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები	
	ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული შემოსავლები	
	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები (ვალდებულებათა ჩამოწერა დარიცხული პირგასამტეხლო და ჯარიმები და სხვა)	360
	სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	97,786
4	არასაოპერაციო ხარჯები – მათ შორის:	*
	საპროცენტო ხარჯები (აღებული კრედიტი, სხვა)	
	ვალუტის კურსის სხვაობით მიღებული ზარალი	X
	ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციით	
	ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერით	
	ზარალი სხვა აქტივების ჩამოწერით	
	ზარალი სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჩამოწერით	
	სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-
	სულ არასაოპერაციო ხარჯები	-
	სულ შემოსავლები:	2,925,220
	სულ ხარჯები:	1,418,045
	მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)	1,507,175

შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის 2019 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლის მოგებამ შეადგინა 1 507 175 ლარი. მათ შორის შემოსავლებმა - 2 925 220 ლარი, ხოლო ხარჯებმა - 1 418 045 ლარი. როგორც ანგარიშგებიდან ჩანს, შემოსავალი ძირითადად ფორმირებულია საოპერაციო შემოსავლებით, კერძოდ კუთვნილი მიწისა და შენობა-ნაგებობების იჯარით

გაცემით - 2 827 434 ლარი. გარდა ამისა საზოგადოებას საანგარიშგებო პერიოდში მიღებული აქვს არასაოპერაციო შემოსავლები 97 786 ლარი, რომლის დიდ ნაწილს ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლები - 97 149 ლარი წარმოადგენს. 2019 წელს შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის ძირითად ხარჯებს წარმოადგენს:

- ხელფასის ხარჯი - 545 207 ლარი;
- კომუნალური ხარჯები - 399 539 ლარი;
- დაცვის მომსახურების ხარჯი - 186 813 ლარი;
- ცვეთის ხარჯი - 131 273 ლარი;

შემოწმების დროს ჩვენს მიერ არ ყოფილა გამოვლენილი არსებითი ფაქტები, რომლებიც დაადასტურებდნენ საზოგადოების მოგება-ზარალის (ფინანსური შედეგი) ანგარიშგების შეუსაბამობას მსს ფასს-ის და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. კერძოდ:

ჩატარებული აუდიტით დადგინდა, რომ საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოგება-ზარალის ანგარიშგების (ფინანსური შედეგი) ზემოაღნიშნული მონაცემები შესაბამისობაშია საზოგადოების სააღრიცხვო მონაცემებთან და შეიცავს ყველა იმ მუხლს, რაც დადგენილია მსს ფასს-ის 5.5 და 6.5 პუნქტებით.

• ფულადი ნაკადების მოძრაობის აუდიტი

საზოგადოების ფულადი ნაკადების მოძრაობის აუდიტი გულისხმობს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (მსს ფასს მე-7 განყოფილება „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“) დადგენილი ნორმებისა და წესების დაცვის შემოწმებას საზოგადოების მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისის შედგენის დროს. მსს ფასს-ის 7.3 პუნქტი განსაზღვრავს ფულადი ნაკადების დაჯუფების წესს. კერძოდ, ფულადი ნაკადები დაჯგუფებული უნდა იყოს „საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის მიხედვით“. მსს ფასს-ის 7.4 პუნქტი განსაზღვრავს საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს, 7.5 პუნქტი განსაზღვრავს საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს, ხოლო 7.6 პუნქტი - საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების შედგენას მსს ფასს ითვალისწინებს ორი მეთოდით: პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით. კომპანიას უფლება აქვს თვითონ აირჩიოს მეთოდი, თუმცა ფასს უპირატესობას ანიჭებს ფულადი ნაკადების მოძრაობის წარდგენის პირდაპირ მეთოდს. „პირდაპირი მეთოდის თანახმად, საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული წმინდა ფულადი ნაკადების წარდგენა ხდება ინფორმაციის გამჟღავნებით მთლიანად მიღებული ან მთლიანად გაცემული ფულადი სახსრების ძირითადი კატეგორიების შესახებ“ (მსს ფასს, პუნქტი 7.9).

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება მომხმარებელს უჩვენებს:

- ფულადი სახსრების შემოძინების წყაროებს;
- მუხლებს, რომლებზეც მოხდა ფულადი სახსრების ხარჯვა საანგარიშგებო პერიოდში;
- ფულადი სახსრების წმინდა ცვლილებას საანგარიშგებო თარიღისათვის.

ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ ინფორმაცია სასარგებლოა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის, როგორც ანგარიშგების, აგრეთვე გადაწყვეტილების მიღების მიზნებისათვის. ინფორმაცია ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ საშუალებას აძლევს მის მომხმარებლებს დაადგინონ თუ როგორ გამოიმუშავა ორგანიზაციამ მისი საქმიანობის დაფინანსებისათვის საჭირო ფულადი სახსრები და როგორ მოხდა ამ სახსრების გამოყენება. მომხმარებლებს სჭირდებათ ფულადი სახსრების ნაკადების გამოყენების დროულობის და მათი საიმედოობის შეფასება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოგიდგენთ ფულადი სახსრების მოძრაობის უწყის 2019 წლის 31 დეკემბრისათვის, რომელიც ეყრდნობა საბუღალტრო პროგრამის მონაცემებს. ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდით.

	ფულადი სახსრები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის (01.01.2019 წ.)	814,643
	მათ შორის ფული საღარიბოში	
	ფული ბანკში	814,643
	შემოსული ფული - საოპერაციო საქმიანობიდან, მათ შორის:	-----
ა)	შემოსული ფული - მომხმარებლებისაგან (რეალიზაცია)	-
	რეალიზებული პროდუქციიდან	
	შიდა სტანდარტით	
	სახელმწიფო პროგრამული დაფინანსებით	
	კერძო სადაზღვევო კომპანიების დაფინანსებით	
ბ)	შემოსული ფული იჯარიდან	3,114,573
	სულ საოპერაციო შემოსავლები (ა+ბ):	3,114,573
გ)	სხვა შემოსავლები:	-
	ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივის რეალიზაციიდან	
	სასაქონლო-მატერიალური მარაგების რეალიზაციიდან	
დ)	ფულადი შემოსავლები ფინანსური მიზნებისათვის:	-
	სახელმწიფო და სხვა სუფსიდიები	
	აღებული კრედიტები	
ე)	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები:	97,509
	დებიტორული დავალიანების განაღდება	
	საპროცენტო შემოსავლები	97,509
	შემოსული ავანსები	
	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები:	
	სულ ფულადი შემოსავლები:	3,212,082
1	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები: მათ შორის	-----
	ხელზე გაცემული ხელფასი	431,952
	ხელფასთან დაკავშირებული გადასახადები	107,288
	საშემოსავლო გადასახადი	107,288
	პროფკავშირების საწევროს გადასახადი	
	ხელფასთან დაკავშირებული სხვა გადასახადები	
	თანამშრომლებზე გაცემული საავანსო თანხები	
	ანგარიშვალდებულ პირზე გაცემული თანხები	
	შეძენილი სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	12,156
	მედიკამენტები და რეაქტივები	972
	კვების პროდუქტები	
	ტრანსპორტისათვის საწვავი	7,215

	ავტოსათადარიგო ნაწილები	
	სხვა მასალები	
	ძირითადი მასალების დანახარჯები	3,970
	ძირითადი საშუალებების რემონტის დანახარჯები	30,344
	შენობა-ნაგებობების	28,669
	ავტოსატრანსპორტო საშუალებების	1,675
	სხვა ძირითადი საშუალებების	
	წინასწარ გადახდილი ხარჯები	
	იჯარის ხარჯები	2,400
	ოფისის მიმდინარე რემონტი და კომუნალური ხარჯები	464,366
	ელექტრო ენერგიის ხარჯი	351,692
	წყალკანალის ხარჯი	69,684
	ბუნებრივი გაზის ხარჯი	
	სანიტარული დასუფთავების ხარჯი	3,600
	დასუფთავების მოსაკრებელი (მუნიციპალური)	39,390
	საკაბელო ტელევიზიის მომსახურება	
	საკანცელარიო ხარჯები	7,397
	სამეურნეო ხარჯები (მათ შორის, შეშა, სარეცხი საშუალებები, სხვა დამხმარე მასალები ...)	
	საკომუნიკაციო ხარჯები:	1,419
	სტაციონალური (ხაზის) ტელეფონის ნომრებზე სააბონენტო გადასახადი	
	ინტერნეტის ხარჯი	1,375
	კორპორაციული ნომრების ხარჯი	
	მობილურ ტელეფონზე სალაპარაკო ზარათების ხარჯი	
	საფოსტო მომსახურება	44
	კომპიუტერების და სხვა ელექტრონული ტექნიკის მიმდინარე რემონტი	5,319
	პრინტერის/ქსეროქსის კარტრიჯების ხარჯი	1,520
	კომპიუტერული ტექნიკის მომსახურების/რემონტის ხარჯი	3,799
	სხვა ტექნიკის მომსახურების/რემონტის ხარჯი	
	საბიუჯეტო გადასახადების ხარჯი (საგადასახადო ვალდებულებების დაფარვა)	622,540
	გადახდილი დღგ	364,953
	გადახდილი მოგების გადასახადი	224,854
	გადახდილი ქონების გადასახადი	19,400
	გადახდილი მიწის გადასახადი	13,333
	გადახდილი სხვა საბიუჯეტო გადასახადები	
	ბანკის მომსახურება	
	სამივლინებო ხარჯი	
	წარმომადგენლობითი ხარჯი	
	დაცვის მომსახურება	220,440
	აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურება	7,375
	საჯარო რეესტრის მომსახურება	
	დაზღვევა	8,663
	სადეზინფექციო მომსახურება	
	ჟურნალ-გაზეთების ხარჯი	231
	სხვა პირდაპირი გადასახადები	
	სხვა არაპირდაპირი გადასახადები	
	აღებული კრედიტების ძირითადი თანხის გადახდა	
	სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	45,454
	სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (სულ 1):	1,967,342

2	არასაოპერაციო ხარჯები:	-
	მოკლევადიანი ვალდებულებების შემცირება (კრედიტორული დავალიანების დაფარვა)	
	სხვა არასაოპერაციო ხარჯი	
3	ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	13,240
	ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	13,240
	სხვა საინვესტიციო ხარჯები	
4	ფულადი ხარჯები - ნაკადები ფინანსური მიზეზისათვის:	1,274,173
	აღებული კრედიტების ძირითადი თანხების დაფარვა	
	აღებული კრედიტების საპროცენტო თანხების დაფარვა	
	გადახდილი დივიდენდები	1,274,173
	სხვა ხარჯები ფინანსური საქმიანობიდან	
	სულ ფულადი სახსრების ხარჯები (1+2+3+4)	3,254,755
	ფულადი სახსრები 01.01.2020 წლის მდგომარეობით	771,970
	მათ შორის ფული სალაროში	
	ფული ბანკში	771,970

მოსაკრებლების სახეები, ოდენობა და მათი გადახდის წესი ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრულია საზოგადოების დირექტორის 2018 წლის 02 მაისის #7/მ ბრძანებით. 2019 წელს მობილიზებული შემოსავლები ძირითადად მიღებულია საიჯარო ქირიდან.

საზოგადოებაში ფულადი სახსრების მოძრაობა წარმოებს ლარებში, როგორც ნაღდი ისე უნაღდო ანგარიშსწორების გზით. სუბიექტებთან ანგარიშსწორება ხდება სალარო ჩეკის მეშვეობით, რომელიც ოპერატორის მიერ ყოველდღიურად აღირიცხება სექციის ნომრის, ჯიხურის ნომრის და გადახდილი თანხის მითითებით.

სალაროში 2019 წლის 1 იანვრისათვის ფულადი სახსრების ნაშთი არ ირიცხებოდა, წლის განმავლობაში შემოსავალმა და გასავალმა 3 114 573.43 ლარი შეადგინა, შესაბამისად, ნაშთი სალაროში 2019 წლის 31 დეკემბრისათვის არ უფიქსირდება. საზოგადოებას სალარო ოპერაციები ნაწარმოები აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სალაროდან თანხები ძირითადად შეტანილია ანგარიშსწორების ანგარიშზე, ხოლო მცირე რაოდენობით, კერძოდ 5 ლარი გაცემულია ანგარიშვალდებულ პირზე, ხოლო 10.50 ლარით გადახდილია საჯარო რეესტრის მომსახურების ხარჯი. შემოწმებით დადასტურდა ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრების იგივობა საბუღალტრო პროგრამის მონაცემებთან. შერჩევით შემოწმებამ დაადასტურა ოპერაციების არითმეტიკული სისწორე.

უნაღდო ანგარიშსწორება წარმოებს სს „კორსტანდარტ ბანკის“ მიმდინარე საბანკო ანგარიშის მეშვეობით. სს „კორსტანდარტ ბანკის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 814 642.64 ლარია, შემოსავალი წლის განმავლობაში 3 493 567.32 ლარია, გასავალი _ 3 536 240.27 ლარი, ნაშთად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხება 771 969.69 ლარი. ოპერაციათა ბუღალტრული გატარებებით უზუსტობები არ ფიქსირდება, ამონაწერით საბუღალტრო ოპერაციები დასაბუთებულია შესაბამისი პირველადი დოკუმენტებით.

ბანკის ამონაწერსა და საბუღალტრო ჩანაწერებში გარდამავალი ნაშთები იხურება შესაბამისი ბრუნვების მიხედვით. ბანკის ამონაწერები ემთხვევა საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერის“ საბანკო ანგარიშებზე გატარებულ ოპერაციებს.

შემოწმების დროს ჩვენს მიერ არ ყოფილა გამოვლენილი არსებითი ფაქტები, რომლებიც დაადასტურებდნენ საზოგადოების ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების შეუსაბამობას მსს ფასს-ის და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. კერძოდ:

ჩატარებული აუდიტით დადგინდა, რომ საზოგადოების მიერ წარმოდგენილი ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება შედგენილია პირდაპირი მეთოდით, ზემოაღნიშნული მონაცემები შესაბამისობაშია საზოგადოების სააღრიცხვო მონაცემებთან და შეიცავს ყველა იმ მუხლს, რაც დადგენილია მსს ფასს-ის 7.9 პუნქტით.

• საწარმოს კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების აუდიტი

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია საანგარიშგებო პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება. საწარმოს კაპიტალში ცვლილებების აუდიტის მიზანია იმის დაგენა, შეესაბამება თუ არა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება მსს ფასს-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს (მსს ფასი მე-6 განყოფილება „საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილბლი მოგების ანგარიშგება“). საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. საწარმოს საკუთარ კაპიტალში ცვლილებები მოცემულია ცხრილში, რომელიც ეყრდნობა დანართი 11-ის (რომელიც ანგარიშს თან ერთვის) მონაცემებს და შედარებულია საზოგადოების ბუღალტრული პროგრამის მონაცემებთან:

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის დროს ჩვენ განვიხილეთ ისეთი საკითხები როგორიცაა:

- ✓ პირველადი დოკუმენტების არსებობა და მათი სისწორის შეფასება;
- ✓ საკუთარი კაპიტალის სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის წარმოების სისწორის შემოწმება;
- ✓ საკანონმდებლო აქტებთან საკუთარი კაპიტალის ფორმირების სისწორისა და შესაბამისობის შემოწმება;
- ✓ კაპიტალზე განხორციელებული ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება.

საკუთარი კაპიტალისა და რეზერვების მოძრაობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში, რომელიც შედგენილია ზემოთ განხილული პროცედურების განხორციელების შედეგად საზოგადოების ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე:

	01.01.2019 წლის მდგომარეობით	საწესდებო კაპიტალში ან რეზერვებში დამატებითი შენატანების შეტანა (+) ან გამოტანა (-) გარდა მიწისა	01.01.2020 წლის მდგომარეობით
საწესდებო კაპიტალი	4,600,023	-	4,600,023
სარეზერვო კაპიტალი			-
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	791,327		791,327
სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება			-

გაუნაწილებელი მოგება	1,636,575	(1,636,575)	-
მიმდინარე წლის მოგება-ზარალი		1,507,175	1,507,175
დაუფარავი ზარალი			-
სულ საკუთარი კაპიტალი	7,027,926	(129,401)	6,898,525

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, როგორც საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელს გაჩნია კაპიტალში შენატანების განხორციელების, კაპიტალიდან ქონების ამოღებისა და ბალანსზე აყვანის უფლებამოსილება.

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საწარმოს საკუთარი კაპიტალი შეადგენდა 7 027 926 ლარს. მათ შორის საწესდებო კაპიტალი - 4 600 023 ლარი, ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი - 791 327 ლარი, გაუნაწილებელი მოგება - 1 636 575 ლარი. კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდში მიიღო მოგება 1 507 175 ლარის ოდენობით, წლის განმავლობაში გამოაცხადა დივიდენდი 1 636 575 ლარი, გაცემულმა დივიდენდმა შეადგინა 1 274 173 ლარი, გადაიხადა მოგების გადასახადი 224 854 ლარი, ხოლო ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის ანგარიშზე პერიოდის განმავლობაში ცვლილება არ მომხდარა. შესაბამისად სულ საკუთარი კაპიტალი პერიოდის განმავლობაში შემცირდა 129 401 ლარით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეადგინა - 6 898 525 ლარი.

ჩვენს მიერ შემოწმდა საზოგადოების საკუთარი კაპიტალის მოძრაობა და მისი აღრიცხვის შესაბამისობა მსს ფასს-ით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შემოწმების პროცესში ჩვენს მიერ არ ყოფილა გამოვლენილი არსებითი ფაქტები, რომლებიც დაადასტურებდნენ კაპიტალის ცვლილებების აღრიცხვის შეუსაბამობას მსს ფასს-ის მოთხოვნებთან და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

• ძირითადი საშუალებების და მასთან დაკავშირებული ოპერაციების აუდიტი

ძირითადი საშუალებებისა და მასთან დაკავშირებული ოპერაციების აუდიტორული შემოწმება გულისხმობს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (მსს ფასს მე-17 განყოფილება „ძირითადი საშუალებები“) დადგენილი ნორმებისა და წესების დაცვის შემოწმებას საზოგადოების მიერ აქტივების აღრიცხვისა და ექსპლუატაციის პროცესში. ძირითადი საშუალებების აუდიტი ტარდება იმ გათვლებით, რომ უზრუნველყოფილი იყოს საკმარისი დამაჯერებლობა იმისა, რომ სააღრიცხვო ინფორმაცია შეესაბამება ძირითადი საშუალებების რეალურ მდგომარეობას. ამ მიზნით აუდიტორული შემოწმების ჩატარების პროცესში შესრულებული იქნა შემდეგი სახის შემოწმება:

- შერჩევით გადამოწმდა ძირითადი საშუალებების ფიზიკური არსებობა და მათი შესაბამისობა საბუღალტრო ჩანაწერებთან;
- შემოწმდა ძირითადი საშუალებების შეფასების სისწორე;
- შემოწმდა საგნებისა და ინვენტარის ძირითადი საშუალებებისათვის მიკუთვნების სისწორე;
- შემოწმდა ძირითადი საშუალებების ჯგუფებად დაყოფის სისწორე მათი საწარმოო პროცესში მონაწილეობის მიხედვით;

- შემოწმდა ძირითადი საშუალებების მიღებისა და გასვლის დოკუმენტურად გაფორმების სისწორე;
- შემოწმდა ძირითად საშუალებებზე გაწეული რემონტის ხარჯების აუცილებლობა და მათი ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამის ანგარიშებზე ასახვის სისწორე;
- შემოწმდა ცვეთის დარიცხვის სისწორე
- შემოწმდა არამატერიალურ აქტივებზე განხორციელებული ოპერაციების ბუღალტრულ ანგარიშებზე ასახვის სისწორე

საზოგადოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში (ცხრილი 1.)

ცხრილი 1.

დასახელება	ნარჩენი ღირებულება 01.01.2019 წ.	დებეტი	კრედიტი	2019 წლის ცვეთა	ნარჩენი ღირებულება 01.01.2019 წ.
შენობა-ნაგებობები სულ:	1,430,561	334,405	36,716	86,412	1,641,837
მრავალწლიანი ნარგავები მიმოსვლის გზები სულ:	9,930	-	-	-	9,930
მიწის ღირებულება (არასასოფლო სამეურნეო)	3,881,759	-	-	-	3,881,759
მანქანა-დანადგარები სულ:	4,905	2,492	-	592	6,805
სატრანსპორტო საშუალებები სულ:	4,879	-	-	976	3,903
ოფისის მოწყობილობა სულ:	3,958	339	-	859	3,438
ელექტრო გადაძვნილი საშუალებები სულ:	240,349	8,935	10,496	19,103	219,685
მილსადენები სულ:	26,755	3,333	1,218	2,310	26,561
კავშირგაბმულობის საშუალებები სულ:	9,809	890	-	856	9,843
კომპიუტერული ტექნიკა სულ:	12,349	1,525	-	2,775	11,100
ავეჯი სულ	5,074	3,983	-	1,811	7,246
ინვენტარი სულ:	2,643	-	-	529	2,114
სხვა ძირითადი საშუალებები სულ:	96,228	4,110	-	15,051	85,287
გარდა ამისა არამატერიალური აქტივები	3,750	-	-	-	3,750
ძირითადი საშუალებები სულ	5,732,947	360,012	48,430	131,273	5,913,256

შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის საბუღალტრო აღრიცხვაში ძირითადი საშუალებები დაყოფილია ძირითადი ჯგუფების მიხედვით, ასახულია შესაბამის საბუღალტრო ანგარიშებზე და საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების შესახებ ინსტრუქციის თანახმად აღირიცხება ნარჩენი საბალანსო ღირებულებით.

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საზოგადოებას ბალანსზე ერიცხებოდა - 5 732 947 ლარის ძირითადი საშუალება. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებულმა ძირითადი საშუალებების შესყიდვების, კაპიტალიზებადი ხარჯების, ძირითადი საშუალებების შემცირებისა და დარიცხული ცვეთის გათვალისწინებით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ღირებულება შეადგენს 5 913 256 ლარს.

აუდიტის მიმდინარეობის დროს შემოწმდა 2019 წლის განმავლობაში შეძენილი ძირითადი საშუალებების შეძენის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები, ასევე მათი საზოგადოების ბალანსზე ასახვის და საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერში“ შესრულებულ ბუღალტრულ ჩანაწერებთან შესაბამისობის მდგომარეობა. ჩატარებული

აუდიტის შედეგად, რაიმე სახის უზუსტობები არ დაფიქსირებულა. გამომდინარე აქედან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული ოპერაციები ნაწარმოებია სწორად.

• სარეზერვო კაპიტალის აუდიტი

საზოგადოებას 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდში საბალანსო ანგარიშზე 5410 (სარეზერვო კაპიტალი) ბრუნვა და თანხობრივი ნაშთი, როგორც წლის დასაწყისში, ასევე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ უფიქსირდება (ბუღალტრულად ასახულია, რომ 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული გაუნაწილებელი მოგება - 121 414.72 ლარი, აღრიცხულია სარეზერვო კაპიტალის ანგარიშზე (ანგ. 5410) და 2010 წლის 15 აპრილს გაცემულია დივიდენდის სახით).

ტექნიკური დავალების შესაბამისად აუდიტის მიმდინარეობის შესწავლილი იქნა ასევე, საზოგადოების მიერ წარმოებულ ბუღალტრულ აღრიცხვაში „ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის“ ანგარიშზე (ანგ. 5420) წარმოშობის დღიდან (18.11.2010 წ.) აღრიცხული თანხის რეალობა. შემოწმებით ირკვევა, რომ აღნიშნული ანგარიში, თანხობრივად - 692 752.03 ლარი, ფორმირებულია 2010 წლის 18 ნოემბერს და მიღებულია საზოგადოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად /იხ. დანართი/.

დასახელება	ანგარიშის ნომერი	საბალანსო ღირებულება აფასებამდე	აფასების თანხა	საბალანსო ღირებულება აფასების შემდეგ
ორსართულიანი ადმინისტრაციის შენობა 4 ჯგუფი	2130/001	93 038	20 773	113 811
კაპიტალური მალაზიები რურუას ქუჩა 4 ჯგუფი	2130/004	79 318	22 819	102 137
კაპიტალური მალაზიები აღმაშენებლის ქუჩა 4 ჯგუფი	2130/005	178 115	107 234	285 349
ორსართულიანი კაპიტალური შენობა არშმ ქუჩა 4 ჯგუფი	2130/007	39 330	2 395	41 725
კაპიტალური სასადილო სექცია 4 ჯგუფი	2130/008	12 825	675	13 500
საპირფარეშო სექცია 25 4 ჯგუფი (აღმაშენებელი)	2130/014	21 573	8 622	30 196
საპირფარეშო სექცია 24 4 ჯგუფი	2130/015	29 936	3 613	33 549
ტრასნსპორტატორის შენობა 4 ჯგუფი	2130/020	17 100	2 900	20 000
ანგარი საკომლემენტო ბაზარი 9 სექცია 4 ჯგუფი	2140/001	24 536	9 901	34 437
კონტეინერების სავალი ნაწილების გადახურვა 1-15 სექციები 4 ჯგუფი	2140/003	45 133	76 698	121 831
მეტალის ჯიხურები მათი სავალი ნაწილებით 16-23 სექციები 4 ჯგუფი	2140/004	425 304	225 507	650 812
ნაგავის გადამამუშავებელი ბუნკერი რურუას ქუჩა 4 ჯგუფი	2140/006	3 943	258	4 200
ელექტრო გაყვანილობა 3 ჯგუფი	2153/001	34 691	169 635	204 326
წყალ კანალიზაციის გაყვანილობა 3 ჯგუფი	2154/001	12 249	7 528	19 777
ჭაბურღილი და მისი გაყვანილობა 3 ჯგუფი	2154/003	3 018	1 902	4 920
რადიოფიციერება 3 ჯგუფი	2155/003	690	435	1 125
კონდეციონერი 2 ჯგუფი	2160/002	120	110	230
მაცივარი XKP-12 2 ჯგუფი	2160/006	480	420	900
ტერიტორიის კეთილმოწყობა 5 ჯგუფი	2189/1111	39 419	31 327	70 746
სულ აფასებული ძირითადი საშუალებები		1 060 818	692 752	1 753 570

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 16 ნოემბრის #471 ბრძანებით განხორციელდა შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის და შპს „ბათუმის

სამშენებლო მასალების სავაჭრო საწარმოო ბაზა“-ს შერწყმა (გაერთიანება), რაც საზოგადოების მიერ წარმოებულ აღრიცხვაში ბუღალტრული გატარებებით ასახულია 2011 წლის 6 დეკემბერს. საიდანაც ირკვევა, რომ შეწყმის შედეგად შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის მიერ მიღებული იქნა 1 665 937.88 ლარის, როგორც აქტივი, ასევე (პასივი) ვალდებულებები და კაპიტალი /იხ. დანართი/.

შპს "სამშენებლო მასალების სავაჭრო საწარმოო ბაზის" ბალანსი 2011 წლის 6 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები		თანხა
<i>მიმდინარე აქტივები</i>		
1110	ნაღდი ფული სალაროში ლარი	2 704
1620/ხისფ	დახვრხილი ხის ფიცარი	4 963
სულ მიმდინარე აქტივები		7 667
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>		
2110	მიწის ნაკვეთები	1 348 542
2115/რკი	რკინიგზის ტუპიკი (ლეონიძის 23)	8 526
2130/002	ადმინისტრაციული კორპუსი (ლეონიძის 23)	8 653
2130/009	საწყობი 01/04 (ლეონიძის 23)	12 103
2130/010	საწყობი 03 (ლეონიძის 23)	52 708
2130/011	სადურგლო და სავაჭრო საწყობი (ლეონიძის 23)	65 969
2130/012	სადურგლო და ბლოკების საამქრო (ლეონიძის 23)	25 488
2130/013	სავაჭრო ობიექტი (ლეონიძის 23)	7 575
2130/016	სასაწყობო და სადურგლო (ლეონიძის 23)	33 768
2130/018	სავაჭრო საწყობი (ლეონიძის 23)	14 775
2130/019	ტარის საწყობი (ლეონიძის 23)	13 341
2130/021	ტრანსფორმატორის შენობა (ლეონიძის 23)	1 696
2130/022	ტუალეტი	33
2140/002	ვაგონ კონტეინერი (ლეონიძის 23)	2 359
2140/007	ნავესი 05 (ლეონიძის 23)	4 003
2140/008	ნავესი A (ლეონიძის 23)	2 321
2140/009	შესასვლელი რკინის კარები (ლეონიძის 23)	83
2140/010	საწყობის მიშენება 01/05 (ლეონიძის 23)	7 289
2140/011	სავაჭრო ფარდული B (ლეონიძის 23)	5 857
2140/012	სავაჭრო ფარდული C (ლეონიძის 23)	3 885
2140/013	საწყობის მიშენება 01 (ლეონიძის 23)	8 123
2140/014	საწყობის მიშენება 01/01 (ლეონიძის 23)	6 554
2140/015	საწყობის მიშენება 01/03 (ლეონიძის 23)	9 117
2140/016	საწყობის მიშენება 05 (ლეონიძის 23)	8 266
2150/006	ხის დასამუშავებელი დანადგარები (ლეონიძის 23) 3 ჯგუფი	3 562
2153/003	ტრანსფორმატორი (ლეონიძის 23) 3 ჯგუფი	2 097
2154/002	წყლის გაყვანილობა 3 ჯგუფი (ლეონიძის 23)	1 083
2160/001	ელ ღუმელი (ლეონიძის 23) 2 ჯგუფი	12
2161/007	სალარო აპარატი (ლეონიძის 23) 2 ჯგუფი	158
2170/015	მაგიდა (ლეონიძის 23) 2 ჯგუფი	36
2171/001	ვეშოლკა (ლეონიძის 23) 2 ჯგუფი	7
2171/002	საბეჭდი მანქანა (ლეონიძის 23) 2 ჯგუფი	17
2171/003	სასწორი 2 ჯგუფი	249
2171/005	სეიფი (ლეონიძის 23) 2 ჯგუფი	13

2171/005	სეიფი (ლეონიძის 23) 2 ჯგუფი	6
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 658 271
სულ აქტივები		1 665 938

ვალდებულებები და კაპიტალი		თანხა
<i>სავაჭრო და სახელფასო დავალიანება</i>		
3110/1/ზაი	ზაიამე შოთა	1 505
3110/1/დაიო	დავითაძე იოსები	735
3130/9	ზაზის სახელფასო დავალიანება	25 302
სულ სავაჭრო და სახელფასო დავალიანება		27 542
<i>მოკლევადიანი სესხები</i>		
3210/1/ზაი	ზაიამე შოთა	1 495
3210/1/ზარ	ზარამიძე რომანი	1 850
3210/1/გორ	გორგაძე არჩილი	3 650
3210/1/დავ	დავითაძე იოსები	1 850
3210/1/დის	შპს დისკო	745
3210/1/სავ	შპს სავაჭრო ცენტრი 2009	350 000
3210/1/ფუტ	ფუტკარაძე რობერტი	1 850
3210/1/ჩხა	ჩხაიძე ნადიმი	1 850
სულ მოკლევადიანი სესხები		363 290
<i>საგადასახადო ვალდებულებები</i>		
3320	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	6 325
3330/1	გადასახდელი დღგ	2 736
3381	მიწის გადასახადი	3 749
სულ საგადასახადო ვალდებულებები		12 810
<i>გადასახდელი პროცენტები</i>		
3410/დის	შპს დისკო	121
3410/სავ	შპს სავაჭრო ცენტრი 2009	3 644
სულ გადასახდელი პროცენტები		3 765
<i>სხვა დარიცხული ვალდებულებები</i>		
3490/ზარ	ზარამიძე რომანი	2 310
3490/გორ	გორგაძე არჩილი	11 787
3490/დავ	დავითაძე იოსები	2 525
3490/დავი	დავითაძე ნუგზარი	850
3490/დან	შპს დანი აუდიტი	200
3490/საკ	შპს საკონსულტაციო ჯგუფი რჯ	2 000
3490/ფუტ	ფუტკარაძე რობერტი	4 951
3490/ჩხა	ჩხაიძე ნადიმი	78 250
სხვა დარიცხული ვალდებულებები		102 873
სულ ვალდებულებები		510 280
<i>კაპიტალი</i>		
5150	საწესდებო კაპიტალი შპს-ში	1 419 549
5320	დაუფარავი ზარალი	- 362 466
5420	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	98 575
სულ კაპიტალი		1 155 658
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1 665 938

კაპიტალის ანალიზით ირკვევა, რომ შპს „ბათუმის სამშენებლო მასალების სავაჭრო საწარმოო ბაზა“-ს აღრიცხვაში „ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის“ ანგარიშზე (ანგ. 5420) ერიცხებოდა 98 575 ლარი, რაც ბუნებრივია დაემატა შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის

შესაბამის ანგარიშს და აღნიშნული თარიღით (2011 წლის 6 დეკემბრის მდგომარეობით) 5420 საბალანსო ანგარიშზე ნაშთმა შეადგინა - 791 327.03 ლარი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად, ვერ ხერხდება იდენტიფიცირება, თუ რისგან შედგება შპს „ბათუმის სამშენებლო მასალების სავაჭრო საწარმოო ბაზა“-ს აღრიცხვაში „ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის“ ანგარიშზე რიცხული 98 575 ლარი (რომლითაც გაზრდილი იქნა შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის 5420 საბალანსო ანგარიში). ანუ, შპს „ბათუმის სამშენებლო მასალების სავაჭრო საწარმოო ბაზა“-დან შერწყმის შედეგად მიღებულ 1 665 937.88 ლარის აქტივში, რომელი პოზიციებია აფასებული და რა თანხით, ვერ დგინდება. აღნიშნული შესაძლებელია მხოლოდ შპს „ბათუმის სამშენებლო მასალების სავაჭრო საწარმოო ბაზა“-ს შერწყმამდე არსებული პირველადი დოკუმენტაციის შესწავლითა და ანალიზით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2018 წლის 05 ივნისის #01-01-3/251 ბრძანებით „შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის საწესდებო კაპიტალის ცვლილების შესახებ“ შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის საწესდებო კაპიტალიდან გამოტანილი იქნა საწარმოს საკუთრებაში არსებული ქონება, რომლის ნარჩენი საბალანსო ღირებულება 01.06.2018 წლის მდგომარეობით შეადგენდა 1 556 853 ლარს. აღნიშნული ქონება წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 16 ნოემბრის #471 ბრძანებით განხორციელებული შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის და შპს „ბათუმის სამშენებლო მასალების სავაჭრო საწარმოო ბაზა“-ს შერწყმის (გაერთიანების) შედეგად მიღებულ ქონებას.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, ჩვენი რეკომენდაციაა, საზოგადოების ფინანსურ დოკუმენტაციაში შესაბამისი ცვლილების შეტანა. კერძოდ: „ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის“ ანგარიშის (ანგ. 5420) შემცირება 98 575 ლარით.

• ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აუდიტი

ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აუდიტი გულისხმობს საზოგადოების მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადების დარიცხვასა და ბიუჯეტში გადახდის სისწორის დადგენას. საზოგადოება არის მოგების გადასახადის (თვ), დღგ-ის და ქონების გადასახადის გადამხდელი, ხოლო სსკ-ის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კომპანია, როგორც საგადასახადო აგენტი ვალდებულია შეასრულოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება. კერძოდ, საზოგადოების თანამშრომელთა ხელფასების გაცემის მომენტში დააკავოს და ბიუჯეტში გადარიცხოს საშემოსავლო გადასახადი კოდექსით დადგენილი წესით.

საშემოსავლო გადასახადი

ჩვენ მიერ შემოწმდა საშემოსავლო გადასახადის დარიცხვის სისწორე და დეკლარირება შემოსავლების სამსახურის პორტალზე, მონაცემები მოცემულია ცხრილში:

საანგარიშო პერიოდი (თვე)		დეკლარაციით			შემოწმებით			
		დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებზე გაცემული ხელფასი და მასთან გათანაბრებული განაცემი	შეღავათის ოდენობა	სულ გადასახადის თანხა	დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებზე გაცემული ხელფასი და მასთან გათანაბრებული განაცემი	შეღავათის ოდენობა	სულ გადასახადის თანხა	დამატებითი დასარიცხი გადასახადი
1	2	3	4	5	6	7	8	9
2019	01	41,648	1,242	8,081	41,648	1,242	8,081	-
	02	43,375	1,242	8,427	43,375	1,242	8,427	-
	03	44,581	1,270	8,662	44,581	1,270	8,662	-
	04	42,904	1,204	8,340	42,904	1,204	8,340	-
	05	41,850	507	8,269	41,850	507	8,269	-
	06	41,422	528	8,179	41,422	528	8,179	-
	07	42,346	456	8,378	42,346	456	8,378	-
	08	41,923	493	8,286	41,923	493	8,286	-
	09	41,476	462	8,203	41,476	462	8,203	-
	10	41,568	458	8,222	41,568	458	8,222	-
	11	42,358	482	8,375	42,358	482	8,375	-
	12	87,734	972	17,352	87,734	972	17,352	-
ჯამი		553,185	9,314	108,774	553,185	9,314	108,774	-

საანგარიშგებო პერიოდში საზოგადოების მიერ RS.GE პორტალზე 2019 წლის პერიოდზე ატვირთულია საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციები და ყოველთვიური განაცემთა ინფორმაციები, რომელთა აუდიტორული შემოწმების შედეგად სხვაობები/უზუსტობები არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, რაიმე სახის საგადასახადო რისკები არ ფიქსირდება.

დამატებული ღირებულების გადასახადი

საზოგადოება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გადამხდელია 2009 წლის 13 ივლისიდან. აუდიტის მიზანს წარმოადგენს საანგარიშგებო წლის განმავლობაში საზოგადოების მიერ დღგ-ის გადასახადის აღრიცხვის, დეკლარირებისა და ბიუჯეტში გადახდის სისწორის დადგენა.

აუდიტის პროცესში ჩვენ შევისწავლეთ RS.GE პორტალზე საზოგადოების მიერ ატვირთული და მიღებული საგადასახადო ანგარიშფაქტურები, ასევე დღგ-ის დეკლარაციები. დღგ-ის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში:

თვე, წელი	დეკლარაციით				შემოწმებით				სხვაობა გადასახადი (+) დარიცხვა, (-) შემცირება
	დღგ-ის 18% დასაბეგმრი ბრუნვა	დასაბეგმრ ბრუნვაზე განგარიშებული დღგ	ჩასათვლედი დღგ	ეკუთვნის (+) ბიუჯეტს, (-) ბიუჯეტიდან	დღგ-ის 18% დასაბეგმრი ბრუნვა	დასაბეგმრ ბრუნვაზე განგარიშებული დღგ	ჩასათვლედი დღგ	ეკუთვნის (+) ბიუჯეტს, (-) ბიუჯეტიდან	
1	4	6	6	7	9	11	12	13	14
2019 წელი									
იანვარი	235,515	42,393	8,597	33,795	235,515	42,393	8,597	33,795	-
თებერვალი	233,606	42,049	7,652	34,397	233,606	42,049	7,652	34,397	-
მარტი	235,730	42,431	9,279	33,152	235,730	42,431	9,279	33,152	-
აპრილი	232,466	41,844	46,334	(4,490)	232,466	41,844	46,334	(4,490)	-
მაისი	233,099	41,958	9,937	32,021	233,099	41,958	9,937	32,021	-
ივნისი	241,504	43,471	7,447	36,023	241,504	43,471	7,447	36,023	-
ივლისი	245,363	44,165	13,961	30,205	245,363	44,165	13,961	30,205	-
აგვისტო	238,789	42,982	9,212	33,770	238,789	42,982	9,212	33,770	-
სექტემბერი	236,694	42,605	8,696	33,909	236,694	42,605	8,696	33,909	-
ოქტომბერი	232,841	41,911	7,191	34,721	232,841	41,911	7,191	34,721	-
ნოემბერი	231,656	41,698	12,806	28,892	231,656	41,698	12,806	28,892	-
დეკემბერი	236,291	42,532	21,069	21,463	236,291	42,532	21,069	21,463	-
ჯამი	2,833,554	510,040	162,180	347,860	2,833,554	510,040	162,180	347,860	-

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების მიერ წარდგენილი დამატებითი ღირებულების გადასახადის დეკლარაციების შემოწმებისას სხვაობები არ გამოვლენილა.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდა მოგების გადასახადის ე.წ. „ესტონური მოდელი“. აღნიშნული მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის დეკლარირება და გადახდა ხდება ყოველთვიურად საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. ესტონური მოდელის საფუძველზე მოგების გადასახადით იბეგრება:

- განაწილებული მოგება (სსკ, მუხლი #98’);
- გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის(სსკ, მუხლი #98’2);
- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა (სსკ, მუხლი #98’3);
- წარმომადგენლობითი ხარჯების დაბეგვრა (სსკ, მუხლი #98’4).

საანგარიშგებო წელს კომპანიას ყოველთვიურად ჰქონდა წარდგენილი მოგების დეკლარაციები. მათ შორის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით პერიოდში ნულოვანი დეკლარაციები, ხოლო დეკემბრის თვეში საზოგადოების მიერ დეკლარირებულია დივიდენდად გაცემული თანხა 1 274 173 ლარი. შესაბამისად დეკემბრის თვეში მოგების გადასახადით დასაბეგრმა ბაზამ შეადგინა 1 499 027 ლარი (1 274 173/0.85), ხოლო მოგების გადასახადმა 224 854.06 ლარი.

საანგარიშგებო პერიოდში საზოგადოების RS.GE პორტალზე 2019 წლის პერიოდზე ატვირთული მოგების ყოველთვიური დეკლარაციების აუდიტორული შემოწმებისას უზუსტობები არ გამოვლენილა.

ქონების გადასახადი

სსკ-ის მე-201 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე საზოგადოება არის ქონების* გადასახადის გადამხდელი, ხოლო სსკ-ის 203 მუხლის საფუძველზე მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელი. ჩვენს მიერ შემოწმდა ქონების გადასახადით დასაბეგრი ბაზის გაანგარიშების სისწორე, ქონების გადასახადით დასაბეგრი ბაზა საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის შეადგენს - 2,200,996 ლარს. ქონების გადასახადის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში:

დასახელება	დეკლარაციით		შემოწმებით		შემოწმების შედეგი	
	დასაბეგრი ქონების ღირებულება (ლარი)	ქონების გადასახადი გრ 8-ის 1% (ლარი)	დასაბეგრი ქონების ღირებულება (ლარი)	ქონების გადასახადი გრ 8-ის 1% (ლარი)	ქონების დასაბეგრი ბაზა (+/-)	გადასახადის თანხა (+/-)
სულ დასაბეგრი ქონება	1,969,505	19,695	1,937,592	19,376	31,913	319

კომპანია არის მიწის გადასახადი გადამხდელი, მის ბალანსზე ირიცხება 33,502 კვ.მ არა სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, რომელზეც გადასახადმა შეადგინა - 8 040.48 ლარი.

კომპანიას RS.GE პორტალზე 2019 წლის პერიოდზე ატვირთული ჰქონდა ქონების გადასახადის დეკლარაცია. შემოწმების შედეგად გამოვლინდა მცირე უზუსტობა გადასახადის გაანგარიშებასა და დეკლარირებაში. ჩვენი რეკომენდაციაა დაზუსტებულ იქნეს ქონების დეკლარაცია.

აუდიტის შედეგად ვასკვნით, რომ კომპანიას ბიუჯეტთან ანგარიშსწორების კუთხით მნიშვნელოვანი საგადასახადო კანონდარღვევები არ უფიქსირდება, გადასახადები აღრიცხული და დეკლარირებულია სწორად, დეკლარაციები წარდგენილია სსკ-ით დადგენილ ვადებში და შესაბამისად მინიმიზებულია საგადასახადო რისკები.

• სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა აუდიტი

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა (იგივე მარაგები) აუდიტი გულისხმობს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (მსს ფასს მე-13 განყოფილება „მარაგები“) დადგენილი ნორმებისა და წესების დაცვის შემოწმებას საზოგადოების მიერ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვისა და ექსპლუატაციის პროცესში. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აუდიტი ტარდება იმ გათვლებით, რომ უზრუნველყოფილი იყოს საკმარისი დამაჯერებლობა იმისა, რომ სააღრიცხვო ინფორმაცია შეესაბამება მარაგების რეალურ მდგომარეობას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების (მარაგები) აუდიტის დროს ჩვენ გადავჭერთ შემდეგი ამოცანები:

- შევისწავლეთ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემადგენლობა, გავეცანით მარაგების შენახვის პირობებს;
- შევისწავლეთ და შევაფასეთ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საწარმოო მიზნებისათვის გამოყენების შიდა კონტროლის სისტემა;
- შევისწავლეთ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასებისა და მისი მოძრაობის აღრიცხვაში ასახვის სისწორე;
- შევისწავლეთ და შევაფასეთ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდულობა და შესაბამისობა კანონმდებლობასთან

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებთან დაკავშირებული ოპერაციების შესწავლისას გამოვიყენეთ ინფორმაციის შემდეგი წყაროები: ხელშეკრულებები მომწოდებლებთან, სასაქონლო ზედნადებები, ანგარიშ-ფაქტურები, მიღება-ჩაბარების აქტები, მასალების მოთხოვნის აქტები რემონტზე, მასალების ხარჯვის აქტები.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები საზოგადოების მიერ აღრიცხულია 1600 ანგარიშზე, რომლის ღირებულებამ 2019 წლის დასაწყისისათვის შეადგინა 43 660 ლარი, წლის განმავლობაში შემენილი 22 475 ლარის სასაქონლო მატერიალური ფასეულობები, ჩამოწერილია 28 277 ლარის ღირებულების, ხოლო ნაშთი წლის ბოლოსთვის შეადგენს 37 858 ლარს.

კომპანია მარაგების აღრიცხვას აწარმოებს საშუალო შეწონილი მეთოდით, რასაც ავტომატურად უზრუნველყოფს კომპანიაში დანერგილი საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერი“.

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში ჩვენს მიერ შემოწმებული იქნა ნედლეულისა და მასალების როგორც შემენის, ასევე მისი საზოგადოების ძირითადი საქმიანობის განხორციელების დროს გამოყენებისა და ჩამოწერის პირველადი დოკუმენტები. დადგინდა, რომ საზოგადოებას შესყიდულ და ჩამოწერილ საქონელზე გააჩნია შესაბამისი ფაქტების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია.

შემოწმების დროს ჩვენს მიერ არ ყოფილა გამოვლენილი არსებითი ფაქტები, რომლებიც დაადასტურებდნენ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების და მასთან დაკავშირებული ოპერაციების შეუსაბამობას მსს ფასს-ის მოთხოვნებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან.

- **არსებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების მოკვლევა, ინვენტარიზაცია, სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების მიხედვით ცალკ-ცალკე**

დებიტორებთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორების აუდიტი გულისხმობს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (მსს ფასს მე-11 განყოფილება „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“, მე-12 განყოფილება „სხვა ფინანსურ

ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები“) დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვის შესაბამისობის დადგენას.

აუდიტის პროცესში, ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა საზოგადოების მიერ წარმოებული დებიტორ-კრედიტორების აღრიცხვა, ხსენებული საკითხის ანალიზისას ვეყრდნობოდით წარმოდგენილ პირველად დოკუმენტაციას, საზოგადოების საბუღალტრო მონაცემებს და საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერში“ შეტანილ ინფორმაციას. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ დებიტორ კრედიტორების აღრიცხვა სრულყოფილად მიმდინარეობს, აღრიცხვა ნაწარმოებია ისე, რომ დროის ნებისმიერი მონაკვეთისათვის შესაძლებელია საწარმოს მიმდინარე დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებზე დადასტურებული ინფორმაციის მიღება. დებიტორული დავალიანება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 457 246 ლარს შეადგენს, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 361 881 ლარს. კრედიტორული დავალიანება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 9 054 ლარს შეადგენს, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 189 796 ლარს /იხ. დანართი/.

საწარმოს დებიტორები:

დებიტორის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი		იურიდიული მისამართი	წარმოშობის წელი	საფუძველი	ნარჩენი ღირებულე ბა	ნარჩენი ღირებულება
					01.01.2019წ.	01.01.2020წ.
1	მოიჯარეები	აღმაშენებლის 21	2009-2017	საიჯარო ქირა	236,681.68	141,632.79
2	რუსლან ფოთელიძე (61006006037) მალხაზ თებიძე (61006056532)	ბათუმი	2017	მატერიალური და ფინანსური ზიანის სოლიდარულად დაკისრება სასამართლოს მიერ	218,679.00	218,679.00
3	ჯემალ ტაკიძე (61001003501)	ბათუმი, დ.თავდადებულის ქ. შესახ. #4	2010	საქვეანგარიშოდ გაცემული თანხა	100.00	-
4	შპს "სადაზღვევო კომპანია აისი ჯგუფი" (204491344)	თბილისის, ვაკე- საბურთალოს რაიონში, ფალიაშვილი/მოსაშვილის ქ., №85/24	2009-2014	ავანსად გადარიცხული თანხა	344.00	344.00
5	შპს "ბათუმის წყალი" (245 556 679)	ბათუმი, წერეთლის ქუჩა 2	2017	ავანსად გადარიცხული თანხა	25.00	25.00
6	შპს "ენერგო-პრო ჯორჯია" (205169066)	თბილისის სანდრო ეულის 1	2017	ავანსად გადარიცხული თანხა	11.00	11.00
7	სს "სილქნეტი" (204566978)	თბილისი, წინამძღრიშვილის 95	2010-2017	ავანსად გადარიცხული თანხა	1,379.91	1,114.69
8	შპს "ჯორჯიან სერვის ნეთვორქი" (406049823)	თბილისის, ისანი- სამგორის რაიონში, ქ. ქუჩხული, № 4	2012-2017	ავანსად გადარიცხული თანხა	25.00	75.00
ჯამი სულ			*	*	457,246	361,881

საწარმოს კრედიტორები:

კრედიტორის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი		იურიდიული მისამართი	წარმოშობის წელი	საფუძველი	ნარჩენი ღირებულება 01.01.2019წ.	ნარჩენი ღირებულება 01.01.2020წ.
1	შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი" (204976302)	თბილისი ჭავჭავაძის გამზირი N74ბ.	2015	საწვავის ღირებულება	60.37	60.37
2	შპს "საქართველოს ფოსტა" (203836233)	თბილისი ვაგზლის მოედანი 2	2011	საფოსტო მომსახურება	40.40	36.70
3	შპს "რომპეტროლ საქართველო" (204493002)	თბილისი	2017	საწვავის ღირებულება	552.79	-
4	სს "სილქნეტი" (204566978)	თბილისი, წინამძღრიშვილის 95	2010-2017	ავანსად გადარიცხული თანხა	-	115.00
5	სსიპ "საფინანსო ანალიტიკური სამსახური" (204577813)	ქ.თბილისი	2019	ე-დოკუმენტი	-	187.00
6	შპს "ენერგო-პრო ჯორჯია" (205169066)	თბილისი სანდრო ეულის 1	2014	ელ.ენერგიის ღირებულება	2,933.92	27,541.13
7	შპს "სსიპ დაცვის პოლიცია" (211350928)	ქ.თბილისი	2016	გაწეული მომსახურების საფასური		18,370.00
8	შპს "სანდასუფთავება" (245548153)	ქ.ბათუმი	2018	დეზინფექცია დერატიზაციის ჩატარება	300.00	300.00
9	შპს "ბათუმის წყალი" (245 556 679)	ბათუმი, წერეთლის ქუჩა 2	2014	წყლისა და კანალიზაციის მომსახურება	4,876.00	5,268.00
10	შპს ქვიტესტი (405239503)	ქ.თბილისი	2019	ტექდათვალიერება		60.00
11	შპს "2014" (445 441 326)	ბათუმი, ლერმონტოვის ქ.#61	2016	საქონლის ღირებულება	291.00	291.00
12	შპს "ექსპრეს-ბათუმი" (445547150)	ბათუმი, ლერმონტოვის	2017	საქონლის ღირებულება	-	18.00
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები-3110 ანგარიშის ჯამი					9,054.48	52,247.20
1	გადასახდელი დივიდენდი		2019		-	137,548.43
ვალდებულებები ანგარიშვალდებული პირების მიმართ-3420 ანგარიშის ჯამი:					-	137,548.43
ჯამი სულ			*	*	9,054.48	189,795.63

- აუდიტის პროცესში აქტივების დანაკლისის ან/და ზედმეტობის გამოვლენის შემთხვევაში, მათი ბუღალტრული ასახვისათვის ყველა საჭირო დოკუმენტაციის მომზადება, შეფასება და საჭიროების შემთხვევაში საბაზრო ღირებულების შესახებ დასკვნის წარმოდგენა

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში საზოგადოებაში აქტივების აღწერა/ინვენტარიზაცია, მათი სააღრიცხვო და ფაქტიურ მონაცემებს შორის სხვაობების დადგენის მიზნით, არ განხორციელებულა. ჩვენი რეკომენდაციაა საზოგადოების მიერ გათვალისწინებული იქნეს მსგავსი ფასის 13.19 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, „საწარმომ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შეაფასოს, გაუფასურებულია თუ არა მისი

მარაგი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით ან გასაყიდი ფასების დაცემით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგის ერთეული (ან ერთეულთა ჯგუფი) გაუფასურდა, ამ პუნქტების მიხედვით, საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიაროს გაუფასურების ზარალი“.

- **დარიცხული და გადახდილი საპენსიო შენატანების და WWW.PENSIONS.GE წარდგენილი დეკლარაციების აუდიტი**

2019 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა განსაზღვრულშენატანიანი დაგროვებითი საპენსიო სქემა. აღნიშნული სქემის ადმინისტრირება ხორციელდება საქართველოს კანონით „დაგროვებითი პენსიის შესახებ“, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 27 მაისის №001 (დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის, საპენსიო შენატანების და ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო ან/და სხვა შემოსავლის დაბრუნებისა და ხელახლა გაწევრიანების წესის დამტკიცების შესახებ) და 2019 წლის 30 ივლისის №002 (საპენსიო შენატანების გადახდის წესების, ინფორმაციის წარდგენის ფორმების, ზედმეტად გადახდილი თანხების ადმინისტრირების, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანების, ხარჯის, ნამეტი შემოსავლის, დანაკარგის, სხვა შემოსავლის, ამონაგებისა და ზარალის დარიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე) ბრძანებებით.

ზემოთ აღნიშნული კანონის მიხედვით, შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“ წარმოადგენს დამსაქმებელს, რომელიც საპენსიო სისტემაში მონაწილე დასაქმებულებს ხელფასის გაცემისას ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით უფიქსირებს საპენსიო შენატანს დასაქმებულზე გასაცემი დასაბეგრი ხელფასის 2 პროცენტის ოდენობით, აგრეთვე დამსაქმებელი მონაწილე დასაქმებულის სახელით, დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით ახორციელებს საპენსიო შენატანს დასაქმებულზე გასაცემი დასაბეგრი ხელფასის 2 პროცენტის ოდენობით.

ჩვენ შევისწავლეთ შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის მიერ დარიცხული და გადახდილი საპენსიო შენატანების და WWW.PENSIONS.GE-ზე წარდგენილი დეკლარაციების სისწორე, შევუდარეთ საპენსიო დეკლარაციები საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერს“, საბანკო ამონაწერს, შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე წარდგენილ საშემოსავლო დეკლარაციებსა და განაცემთა ინფორმაციას და შედეგად ვასკვნით, რომ კომპანიის მიერ დარიცხული და გადახდილი საპენსიო შენატანები, აგრეთვე WWW.PENSIONS.GE-ზე წარდგენილი დეკლარაციები შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 27 მაისის №001 და 2019 წლის 30 ივლისის №002 ბრძანებებთან.

- 2019 წელს ელექტრონული ტენდერის და გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული შესყიდვების აუდიტი და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა

შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“ სახელმწიფო შესყიდვებს ახორციელებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონისა და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ბრძანება #12, 14 ივნისი 2017 წ.) შესაბამისად.

სავაჭრო ცენტრს 2019 წელს განხორციელებული აქვს ელექტრონული ტენდერი (6 შემთხვევაში) და გამარტივებული შესყიდვები.

ელექტრონული ტენდერის (მეთოდი-NAT) 4 შემთხვევიდან ხელშეკრულება დაიდო 3 შემთხვევაში, აღნიშნული ხელშეკრულებები დღევანდელი მდგომარეობით შესრულებულია.

ელექტრონული ტენდერის (მეთოდი-SPA) 2 შემთხვევიდან ხელშეკრულება დაიდო ერთ შემთხვევაში და დღეისათვის მისი სტატუსი არის მიმდინარე. თუმცა ჩვენი აზრით, აღნიშნული ხელშეკრულების სტატუსი დასაზუსტებელია, ვინაიდან ხელშეკრულების მოქმედების ვადაგასულია და მხარეებს შორის გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი.

ივანე გაჩეჩილაძე

დირექტორი

11.08.2020

